შემადგენლობა, 1მლ საინექციო ხსნარი შეიცავს:

აქტიურ ნივთიერებებს: D-კლოპროსტენოლის ნატრიუმის მარილს (D-cloprostenole) - 0,075მგ

გამოყენების ჩვენებები

პრეპარატი D-კლოპანი გამოიყენება ძროხის, დედაღორის, ფაშატის, მდედრი ბოცვრის, ძუ კატის რეპროდუქციული ფუნქციის გაზრდის, რეგულირებისა და მკურნალობისთვის, მათ შორის:

- სქესობრივი ციკლის ინდუქციისა და სინქრონიზაციისათვის ;
- საკვერცხეების ფუნქციონალური დარღვევების (პერსისტენტული ყვითელი სხეულის, ლუთეინური და ფოლიკულარული კისტის) მკურნალობა;
- საკვერცხეების, მშობიარობის შემდგომი და ანესტრუსის ფუნქციური დარღვევები;
- საშვილოსნოს მშობიარობის შემდგომი დაავადებების (ენდომეტრიტი, პიომეტრა) პროფილაქტიკა და მკურნალობა;
- ნაყოფის პათოლოგიების დროს მაკეობის შეწყვეტა.

გამოყენების წესი და დოზები

სქესობრივი ციკლის სინქრონიზაცია და ინდუქცია:

- *ძროხების და დეკეულების ფიზიოლოგიური სიმწიფის მიღწევისას* პრეპარატი მიიღება - კუნთში 2მლ /ერთ სულზე, ორჯერ 10 დღის ინტერვალით.
- *ახურების (მძუვნობის) ნიშნების არ არსებობისას:* პრეპარატი ხელახლა მიიღება იგივე დოზით პირველი დოზის მიღებიდან მე-11 დღეს. დადებითი შედეგის მისაღწევად განაყოფიერება უნდა ჩატარდეს პრეპარატის გამოყენების შემდეგ პირველივე ახურებისთანავე. დედაღორი და სარემონტო ნერბი (ახურების ნიშნების გამოვლენის გარეშე) - 0,7 მლ/ცხოველზე ერთჯერადად.
- დედაღორის მოგების ინდუქციისათვის - 0,7-1 მლ/ერთ სულზე ერთჯერადად, ახურებამდე 3 დღით ადრე ან მაკეობის 113-114 დღეზე.
- ფაშატი: 1 მლ ერთჯერადად, მისი მიღება ხდება ახურებიდან 5-13 დღის პერიოდში, ოპტიმალური პერიოდია პრეპარატის მიღებიდან 4-6 დღე.

- მდედრი ბოცვერი: **0,2-0,3** მლ ერთჯერადად, განაყოფიერება **24-48**სთ-ში;
- ძუ კატა: **0,2**მლ ერთჯერადად, განაყოფიერება **24** სთ-ში

საკვერცხეების ფუნქციონალური დარღვევების მკურნალობა (*ლუთეინური კისტა და პერსისტენტული ყვითელი სხეული)*:**2** მლ/ სულზე ერთჯერადად დიაგნოზის დადგენისთანავე.

მშობიარობის შემდგომი სუბინვოლუციური საშვილოსნოს პროფილაქტიკისა
და ენდომეტრიტების ექსუდაციური და ქრონიკული ფორმების სამკურნალოდ: ძროხა - მშობიარობიდან **6-12** სთ-ის შემდეგ **2**მლ/სულზე,
ერთჯერადად; დედაღორს მომყოლის მოგებიდან **2-4** სთ-ის შემდეგ - **0,7** მლ/სულზე;

ენდომეტრიტის სამკურნალოდ ძროხებს პრეპარატი ეძლევა მაკეობის ყველა სტადიაზე: **2**მლ/სულზე. პრეპარატი გამოიყენება სიმპტომატურ თერაპიასთან ერთად. აუცილებლობის შემთხვევაში პრეპარატის მიღებას იმეორებენ იგივე დოზით პირველი შეყვანიდან **10-12** დღის შემდეგ.

მაკეობის შეწყვეტა ნაყოფის პათოლოგიების გამო (მაკეობის ნებისმიერ სტადიაზე): **2** მლ პრეპარატი/სულზე.

მშობიარობის დაწყების ინდუქციისთვის: კუნთში, **1**მლ/ სულზე, ნეზვებს - მაკეობის **111** დღიდან.

ლოდინის პერიოდი: სახორცედ დაკვლა დასაშვებია ბოლო ინექციიდან **48** სთ-ის შემდეგ. რძე ადამიანის საკვებად გამოიყენება შეზღუდვების გარეშე.

გამოშვების ფორმა: **2**მლ ამპულა და **20**მლ მინის ფლაკონი

შენახვის პირობები: ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას, არაუმეტეს **25°C** ტემპერატურაზე. ვადის გასვლის შემდეგ პრეპარატი არ გამოიყენება

ვარგისიანობის ვადა: **2** წელი.

მწარმოებელი: შპს "ბიოტეკსი", საქართველო, თბილისი, იუმაშევის ქ **#8**